

### ენტეროჰემორაგიული ნაწლავური ინფექცია
(ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები)

**ინკუბაციური პერიოდი:** 2-9 დღე

**სიმპტომები:** დიარეა (წყლიანი, სისხლიანი), მუცლის მწვავე ტკივილი, გულისრევა, მსუბუქი ციებ-ცხელება.

**გამოყენებული სურსათი:** ნედლი ან თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ძროხის ხორცის ფარში, ყველი, არაპასტერიზებული რძე, მაიონეზი.



### ბოტულიზმი
(Clostridium botulinum)

**ინკუბაციური პერიოდი:** 18-36 საათი

**სიმპტომები:** დაღლილობა, სისუსტე, თავბრუსხვევა, მხედველობის გაორება, გაძნელებული მეტყველება და ყლაპვა, ყაბზობა.

**გამოყენებული სურსათი:** დაკონსერვებული პროდუქტები, მოშუშული ხორცი, ძეხვის, ფრინველის ხორცის პროდუქტები.



### სალმონელოზი
(Salmonella)

**ინკუბაციური პერიოდი:** 6-72 საათი

**სიმპტომები:** მუცლის ტკივილი, ციებ-ცხელება, ტემპერატურა, ფაღარათი, ღებინება.

**გამოყენებული სურსათი:** ფრინველის ხორცი და მისი სალათები, ხორცი, ხორცის პროდუქტები, თევზი, კრევეტები, დაჭრილი ხილ-ბოსტნეული, რძე, კვერცხი.



### სტაფილოკოკური ინფექცია
(Staphylococcus aureus)

**ინკუბაციური პერიოდი:** 0,5-6 საათი

**სიმპტომები:** გულისრევა, ღებინება, ქვალები მუცელში, თავისა და კუნთების ტკივილი, კრუნჩხვა, წნევის და პულსის ცვლილება.

**გამოყენებული სურსათი:** ლორი და სხვა ხორცეული, კვერცხი, რძე და რძის ნაწარმი, კრემიანი საკონდიტრო ნაწარმი.



### ლისტერიოზი
(Listeria monocytogenes)

**ინკუბაციური პერიოდი:** 2-30 დღე

**სიმპტომები:** მუცლის ტკივილი, ციებ-ცხელება, ტემპერატურა, ფაღარათი, ღებინება.

**გამოყენებული სურსათი:** არაპასტერიზებული რძე, ყველი, ნაყინი, ნედლი ბოსტნეული, ფრინველის და ძროხის ხორცი, ზღვის პროდუქტები, მზა სურსათი.

